მისია

კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიაა სამეგრელო ზემო სვანეთის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება,მათი პიროვნული და პროფესიული განვითარება, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობისა და დასაქმების ხელშეწყობა. კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარებით თავისი წვლილის შეტანა ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში.

ხედვა

2027 წლისთვის კოლეჯი ცხუმ-ეგრისი, როგორც წარმატებული და კონკურენტუნარიანი მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება , უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაციას, პროფესიულ სტუდენტსა და მსმენელს სთავაზობს ხარისხიან განათლებას და კარიერულ წინსვლაში ხელშწყობას.

ღირებულებები

კოლეჯის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომელზე ორინეტირებული საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს არსებობას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, თვითგამოხატვის თავისუფლება.